ჩვენი გზა

№ 30

თფილისი

1907

ხუთშაბათი, 11 ოქტომბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№30 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი №30

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი გზა

გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

გამეთ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ **НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ**.

თფილისის მოსამსახურეთა საბჭო აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ

რაჟდენ დიანოზის ძე შენგელიას

გამოასვენებენ დღეს, საღამოს ოთხ ნახევარ საათზე მიხე ლის საავადმყოფოდან და წაასვენებენ ვაგზალზე და იქიდან—სამტრედიაში. (1—უ.—1)

დღეს დილის 8 საათზე მოასვენებენ ფოთში ტრაგიკულათ გადაცვალებულ ამხანაგის

არშაკ ნოლოთონის ძე ვარნაზიანცის

(იგივე ცაფცას ზანგი)

გვამს—გაზეთ „სინათლის“ რედაქტორათ ნამყოფს—რასაც ვაუწყებთ ამხანაგებს და ნაცნობებს. 2—უ.—2

მედიცინის დოქტორი

ს. ა. ლიური

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის** და **ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

ᲔᲥᲘᲛᲘ

ივ. გომართელი

პირველი ოქტომბრიდან დებულობს ავათმყოფებს თფილისში.

გოდოვინის პროსპექტი, თამამშევის სახლი № 33.

ᲥᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

სამსონ ვაშაყმაძე

გადავიდა ვოგზლის ქუჩაზე № 10, სლივიცკიე სახლში.

ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, დილით 9—1 საათ. და საღამოთი 4—6 ს. (თვ.)

რადგანაც წიგნის მაღაზიის **„ობრაზოვანიე“-ს** საქმეების ლიკვიდაცია ხდება 15 ოქტომბერს, მაღაზიის პატრონი აცნობებს კომისიონერებს, როგორც ქართული ისე რუსული წიგნებისას, მოვიდენ ანგარიშის გასასწორებლათ. (3—1).

УЧИТЕЛЬ и УЧИТЕЛЬНИЦА

Готовятъ во всѣ среднія учеб. зав—гимназіи, реальныя и землемѣрное училища, учительскій институтъ, принимаютъ готовящихся на полный пансіонъ, Репетируютъ адресъ: Тифлисъ, Вознесенская, Церковный подъемъ, № 4.

С. А. ГРЯЗНОВЪ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას მოითხოვოს **ფირალოვის** პაპიროსი **„სამშატაა“** და **„ინტელიგენტა“**, რომელიც საზღვარგარეთის საუკეთესო პლანტაციების არომატიული თუთუნისაგანაა შეზავებული და პროგრესიულათ გაუმჯობესებული.

პატივისცემით **ძმ. ფირალოვები.**

10—6—3.

ქართული წარმოდგენა

არტისტიულ საზოგადოების თეატრში

პარასკევს, 12 ოქტომბერს

გაიმართება პირველი წარმოდგენა სეზონის

დასაწყისად

ილია ჭავჭავაძის სახსოვრათ.

პროგრამმა

I.

პატივისცემა

დიდებულ პოეტის ქანდაკების წინაშე

სიტყვები და ლექსები,

II.

ᲗᲗᲐᲠᲐᲐᲜᲗ ᲭᲕᲠᲘᲕᲘ

დრამატ. სურ. 3 მოქმ. ილია ჭავჭავაძის

მოთხრობიდან გადმოდებული.

III.

ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ

IV.

ᲒᲚᲐᲮᲐ ᲭᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(სცენები მომრიგებელ შუამავალთან) ილია ჭავჭავაძის თხზულება.

მონაწილეობას დებულობს მთელი დასი.

დასაწყისი სწორეთ 8 საათზე.

რეჟისორი **ᲕᲐᲚ. ᲒᲣᲜᲘᲐ.**

მორიგი წევრი გამგეობისა **ᲐᲚ. Პ. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ამზადებს მოსწავლე ქალიშვილთა და საშვალო და დაბალ სასწავლებლისთვის. ამზადებს აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: გოდოვინის პროსპექტი, სახლი № 28 ბინა № 3, ეზოში.

ადიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ივ. გომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

სკოლებში შესასწავლი

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ

მათი სურათებით და ბიოგრაფიებით.

წიგნი პირველი,

მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული. შეიცავს 416 გვერდს და **ღირს ყდით თოთხმეტი შაური.** მაღაზიებს და სასწავლებლებს დაეთმობა 20 პროცენტი.

ამ წიგნის საწყობი იმყოფება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა). ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди грузинскаго населенія. (0—5—8)

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს და წრთვნის მოსწავლე ქალიშვილთ ყველა **საშუალო სასწავლებლის მეექვსე კლასამდის**; აგრეთვე ამზადებს სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: უდიდნი ქუჩა № 18, თურქიას ბინა.

„ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ“ ᲗᲣ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲝᲑᲐ?

კარგახანია გაზ. „ისარი“-ს ფურცლებზე ტირილი და გოდება გაისმის: მოკვდა ქართველი ერი, ქართველმა ერმა უარყო თავისი წარსული, ქართველმა ხალხმა დამარხა თავი თვისი, ხელი აიღო აწმყოზე, ზურგი შეაქცია მომავალს, შეირცხვინა თავი, გამოიჭრა ყელი, დაამტკიცა თავისი ველურობა, გათახსირება, გამოიჩინა თავისი გონებრივი სიკოტრე ზნეობრივი სიდუხჭირე, გამოირიცხა მთელი ქვეყნის კულტურულ ერთა რიცხვიდან და სხვა და სხვა.

დღეს გაზეთი როგორც ჩანს, გონზე მოსულა და დაუნახავს, რომ ქართველი ხალხი ჯერ კიდევ არ მომკვდარა, რომ ის არავისთან ერთათ სმარეში არ ჩასვენებულა, რომ ის სცოცხლობს; მაგრამ მას ერთი დიდი სენი სჭირს, ისეთი სენი, რომლისგანაც რუსეთის სხვა ერები თავისუფალნი არიან თურმე.

გაზეთის აზრით (იხ. „ისარი“ № 220) განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოში გამოიწვია კულტურულ მუშაობის შესუსტება და ცუდგრილობა კულტურულ დაწესებულებებისადმი, რუსეთის სხვა ერებში კი, ხელი შეუწყო ასეთ მუშაობას.

„ისრის“ ახსნით ამის უძირითადესი მიზეზი ის არის, რომ ჩვენში ზომიერი ელემენტები არ არსებობენ, ასეთი ელემენტები ვერ ჩამოყალიბდენ ჩვენში განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს, სხვაგან ჩამოყალიბდენ კიდეც და სამოქმედოთაც უკვე მზათ არიან. აქ, ჩვენში მოძრაობამ დაქსაქსა და სხვის მაჩანჩალათ აქცია ზომიერები, სხვაგან გამოყო საზოგადოების სხვა ელემენტებისაგან და საკუთარი სახე და დანიშნულება მისცა, კულტურული მუშაობის საქმე დააკისრა. პოლიტიკური პირობები დღეს ისე სასტიკათ აღარ ავიწროებენ საერთო ხასიათის კულტურულ მოქმედებას, როგორც წინათ. რეაქციის გამარჯვების შემდეგ მთელს რუსეთში ისეთი პოლიტიკური პირობები დამყარდა, რომ, გარდა ზომიერი მიმართულების მიმდევრებისა, სხვას არავის არ შეუძლიან აშკარათ და ლეგალურათ გაშალოს თავისი მოღვაწეობა. მაშ, ვინ უნდა იკისროს კულტურული მუშაობის საქმე, თუ ჩვენებური ზომიერი ელემენტები უვარგისი გამოდგენ? ჩვენებურმა სოციალისტურმა პარტიებმა!

ასე მსჯელობს დიახ დარბაისელი „ისარი“.

ვიმეორებთ, „ისარი“ გონზე მოსულა!

გუშინ მკვდარი და სამარეში ჩასვენებული ქართველი ხალხი დღეს უკვე ისევ გაცოცხლებულა; მაშ, შეიძლება მის ავკარგზე კვლავ ვიმსჯელოთ. როგორც დავინახეთ, „ისარი“ ეძებს ძირითად მიზეზებს სამწუხარო მოვლენის, ასეთ ძირითად მიზეზათ ის ასახელებს მას, რომ ჩვენში ზომიერი ელემენტები სადღაც გაქრენ. ასეთი ახსნა საზოგადო მოვლენისა საკმაოთ ახასიათებს „ისარს“; რად მოხდა, რომ, მაგალითათ, პოლონეთში ზომიერი ელემენტები კიდეც ჩამოყალიბდა და კულტურულ მუშაობას ეძლევა და ჩვენში კი არა? ის გვასწავლის: რომ ჩვენში ზომიერი ელემენტები არ არსებობენ, ამიტომაც კულტურული მუშაობაც მიძინებულიაო და თანაც გონია, რომ მან აღმოაჩინა მოვლენის ძირითადი მიზეზი. ვინც ასეთნაირათ ხსნის საზოგადო მოვლენას, ის იმ ყალბ შეხედულებითაა გაჟღენთილი, რომ ვითომც საზოგადოების ესა თუ ის ელემენტი ქმნის კულტურული ცხოვრებს პირობებს და არა კულტურული ცხოვრების პირობები აკავშირებს და აყალიბებს საზოგადოების სხვა და სხვა ელემენტებს პარტიებათ. ასეთი შეხედულების პატრონი ყოველ საზოგადო საქმეს ეჭიდება ბოლოდან და არა თავიდან; სხვებრ რომ ვთქვათ, ის სახლს ბანიდან აკეთებს და არა საძირკველიდან.

ჩვენის აზრით კი სახლი საძირკველიდან უნდა აშენდეს; ზომიერი ელემენტების შექმნისათვის და კულტურული მუშაობის გაჩაღებისათვის ჯერ საჭიროა მოპოება ისეთი პირობების, რომელნიც ხელს შეუწყობენ ერთსაც და მეორესაც. როგორია დღეს ეს პირობები? „ისარი“ ორჭოფობს, ის ამბობს: „რუსეთის რევოლიუციის ერთათ-ერთი უმნიშვნელოვანესი პლიუსი ისაა, რომ საკმაოთ თვალსაჩინოთ გაიხსნა გზა საერთო კულტურულ ხასიათის მოღვაწეობისათვის, მაგრამ რეაქციის გამარჯვების შემდეგ მთელ რუსეთში ისეთი პოლიტიკური პირობები დამყარდა, რომ გარდა ზომიერი მიმართულების მიმდევრებისა სხვას არავის არ შეუძლია აშკარათ და ლეგალურათ გაშალოს თავისი მოღვაწეობა“; მიუხედავათ ასეთი ორჭოფული ხასიათისა, ჭკუათმყოფს მხოლოდ ერთი დასკვნა შეუძლია გამოიყვანოს „ისრის“ მოსაზრებიდან: თუ ასეთია პოლიტიკური პირობები, მაშ, პირველი საკითხი ის ყოფილა, რომ ჩვენთ ეიგდოთ საჭირო პოლიტიკური პირობები, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენში კულტურული მუშაობა შეუძლებელი დარჩება! მაგრამ „ისარი“ ჯერ არც იმდენათ მოსულა გონზე, რომ ასეთი საღი და ლოღიკური დასკვნა გამოიყვანოს მის მიერვე აღნიშნულ ფაქტებიდან. მაშ, რა ეშველება კულტურულ მუშაობას ჩვენში? ზომიერი ელემენტები ჩვენში უვარგისია; სხვებს კი აშკარათ და ლეგალურათ მოღვაწეობის საშუალება არა აქვს? სად არის გამოსავალი? „ისარი“ ბრძნულათ გვასწავლის: „საქმეს უნდა უშველონ ისევ ქართველმა მომქმედ სარევოლიუციო და სოციალისტურ პარტიებმაო“. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ რა რიგ, როცა „ისრის“ აზრით ასეთი მოღვაწეობა დღევანდელ პირობებში მხოლოდ ზომიერ ელემენტებს შეუძლია? ჩვენ ვიცით როგორი იქნება „ისრის“ პასუხი და ეს საინტერესოც არ არის ჩვენ მხოლოდ მკითხველს შეველაკითხებით, რათ მოსდის „ისარს“ ასეთი ლოღიკური ყრამალობა? ამოცანა მეტათ ადვილი ასახსნელია: საქმე აი რაში გახლავთ: „ისრის“ თანამშრომლები „ნამდვილი“ ქართული სოციალისტები და რევოლიუციონერები“ არიან; ისინი გატაცებით ემსახურებიან ნამდვილ „სოციალისტურ“ და „რევოლიუციონურ“-საქმეებს, მაგრამ მათ იციან აგრეთვე, რომ ყოველი ერი უნდა ეწეოდეს აგრეთვე კულტურულ მუშაობასაც; ასე იქცევიან რუსეთის სხვა და სხვა ერები. იქ ამისთვის ზომიერი ელემენტები უკვე ჩამოყალიბდენ; ჩვენში ეს არ არის. მაშ საქმეს რომ ეშველოს და ქართველი ერი არ დაიღუპოს, კულტურულ მუშაობას უნდა შეებან, ვთქვათ, იგივე ფედერალისტები. მართალია მათ როგორც „სოციალისტებს“ და რევოლიუციონერებს ხელს არ უწყობს დღევანდელი პოლიტიკური პირობები თავიანთი მოღვაწეობა გაშალონ კულტურულ მუშაობაში, მაგრამ რა კი საქმე მეტათ გაჭირვებული და სერიოზულია, ნურას უკაცრავათ, სოციალისტობას და რევოლიუციონერობას ყურეში მისდებენ, შეუდგებიან კულტურულ მუშაობას და ამ რიგათ, წინააღმდეგ თავიანთი „რევოლიუციონური“ სინდისისა, ცოტა ხნით, რასაკვირველია, დიჭერენ ჩვენში ზომიერი ელემენტების ადგილს! ახლა ხომ მიხვდი, მკითხველო, რაშია საქმე! ხო და ასე იცოდე და ნუღარც შეეკითხებით „ისარს“, თუ რაღათ ბოდიშობს ამდენს. მართლაც, ვისთვის არაა დღეს თვალსაჩინო და ცხადი, რომ „ისრელმა“ ფედერალისტებმა სავსებით დაამტკიცეს, რომ ისინი ზომიერზე უზომიერესიც ყოფილან, რომ მათ საფუძველი დაუდვეს და ჩამოაყალიბეს „ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ“ პარტია მას შემდეგ, რაც გოდებით და ტირილით აუწყეს მთელ ქვეყანას, რომ სოციალდემოკრატიული პროპაგანდა-აგიტაცია ვითომ გახდა ქართველი ერის მომსპობელ პირობათ და მიზეზათ, რომ სოციალდემოკრატების მოღვაწეობამ მოამზადა ნიადაგი ჩვენი ხალხის გაველურების და გადაშენებისა! ამის შემდეგ მოულოდნელი და საბოდიშო არა არს რა, რომ „ისრელმა“ ფედერალისტებმა უზომიერეს ელემენტების ადგილი დიჭირონ ჩვენში.

ჩვენ კი კულტურული მუშაობა ჯერ არ გაგვიცალკევებია არც სოციალისტური, არც რევოლიუციონური მუშაობისაგან. რა გვარიც უნდა იყოს საზოგადო სამუშაოვარი, ჩვენ არავის დაუთმობთ და არავის კუთვნილებათ არ გავხდით მას; ყოველგვარ საზოგადოებრივ მუშაობის სფერაში ჩვენ შევიჭრებით, როგორც სოციალისტები და მხოლოდ როგორც ასეთები.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲓᲣᲛᲐᲨᲘ

როგორი იქნება მომავალი დუმა? ამ კითხვას გულის კანკალით უტრიალებენ გარშემო როგორც მემარცხენენი, ისე მემარჯვენენი, როგორც უკიდურესნი, ისე ზომიერნი. ამ კითხვაზე გადაჭრილი პასუხის მიცემა დღეს-დღეობით შეუძლებელია; არჩევნებამდინაც და არჩევნების დაწყების შემდეგაც ეს პასუხი მუდამ ელფერს იცვლის, მუდამ აქეთ-იქით ქანაობს. სხვა და სხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ჯგუფთა იმედები ხან იზრდება და ფრთებს ისხამს, ხან კი თან დათან ილულება და ფრთები ეკვეცება.

არჩევნების დაწყებიდან დღევანდლამდე ყველასათვის აშკარა და უეჭველი მხოლოდ ის არის, რომ ხალხის ფართო მასსა—პროლეტარიატი, გლეხ-კაცობა და ქალაქის ბურჟუაზიის უმრავლესობა—კვლავ ოპოზიციონური სულით არის გამსჭვალული, კვლავ ოპოზიციონურ ელემენტებს ირჩევს თავის წარმომადგენლებათ, და ამის გამო აშკარა და უეჭველია ისიც, რომ მომავალ დუმაში ოპოზიციას არა ერთი და ორი წარმომადგენელი ეყოლება.

არჩევნების პირველ ხანებში ოპოზიციის იმედებმა იმდენათ გაშალა ფრთები, რომ „დინჯ“ და „სერიოზულ“ კადეტთა პარტიას ილიუზია დაებადა—მომავალ დუმაშიაც ბატონობა ჩვენი იქნებაო და ამ ილიუზიამ ისინი იმდენათ შეიპყრო, რომ მათმა პოზიციამ, რომელმაც დუმის გარეკის შემდეგ ერთხანათ თითქო მარცხნივ დაიწია, ახლა ისევ მარჯვნივ დაიწყო გადახრა, რადგან დუმაში ბატონობა მათ კვლავ პასუხისმგებელ როლს უმზადებს და პასუხისმგებლობას-კი დღევანდელ პირობებში ისინი ვერ იკისრებენ ისე, თუ თავიანთი პოლიტიკის „რული“, რამოდენიმეთ მაინც, მარჯვნივ არ დაიჭირეს.

მაგრამ იმის-და კვალათ, რაც უფრო არჩევნები თავის საბოლოო წერტილს უახლოვდება, კადეტების იმედებს და ილიუზიებსაც თანდათან ფრთები ეკვეცება. განსაკუთრებით არჩევნების მეორე საფეხურის (ვიბორშჩიკების არჩევნების) შედეგებმა სულ უფრო გამოაშკარავეს,

რომ მტკიცე კონსტიტუციონურ ოპოზიციისაგან დუმის უმრავლესობის შედგენა ძალიან საეჭვოა. ხსენებულ ილიუზიას დიდათ ასაზრდოებდა ის ანგარიში, რომ მემამულეთა კურიაშიაც, რომელსაც, 3 ივნისის კანონის ძალით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არჩევნების საბოლოო შედეგებისათვის, რომ ამ კურიაშიაც ბლომათ გავიდოდენ ოპოზიციის წარმომადგენლები და მით ჩაიფუშებოდა ხსენებულ კანონის მიზანი—მემარჯვენე დეპუტატების გატარება. ასეთ ანგარიშს ერთი მხრით იმ იმედზე აფუძნებდენ, რომ წვრილი მემამულენი ბლომათ აირჩევდენ ოპოზიციონურ რწმუნებულთ და მათი შემწეობით მოხერხდებოდა მემამულეთა საერთო კურიიდანაც ბლოვათ ოპოზიციონურ ვიბოშჩიკების გაყვანა. მეორე მხრით, ზემოხსენებულ ანგარიშს იმ იმედზე ამყარებდენ, რომ მსხვილი მემამულენი, თავიანთი პოლიტიკური მცონარობის გამო, თავგამოდებით არ ეცდებოდენ ვიბორშჩიკებათ თავისი კაცების გაყვანას და ამით მემამულეთა კურიიდან ოპოზიციონურ ვიბორშჩიკების გატარება კიდევ უფრთ გაადვილდებოდა.

მაგრამ ნამდვილათ კი მოხდა თითქმის სულ წინააღმდეგი. წვრილმა მემამულეებმა გასაოცარი გულგრილობა გამოიჩინეს თავიანთ რწმუნებულთა არჩევნებისადმი, რომელიც ძალიან ბევრგან სულაც არ შემდგარა, ხოლო, საცა შესდგა, ბევრგან იმდენათ მცირე რიცხვმა მიიღო შიგ მონაწილეობა, რომ მხოლოდ თითო-ოროლა რწმუნებულები იქნენ არჩეული; ამას გარდა, ამავე კლასმა საზოგადოთ ისეთი პოლიტიკური დაუდევრობა და ამასთან კონსერვატორობა გამოიჩინა, რომ დიდათ თავს არ იწუხებდა შესაფერი კანდიდატების არჩევით, და ბევრგან მემარჯვენეებსაც კი ირჩევდა.

გაცილებით მეტი თავგამოდებით მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში სხვილმა მემამულეებმა—„ბელოვეჟის ზუბრებმა". ამათი გულმოდგინება არჩევნებში გამარჯვების მოსაპოებლათ იქამდე ძლიერი იყო, რომ მათ არ დაინდეს და გააშავეს იისეთი კანდიდატებიც კი, რომელნიც ოდნავ ოპოზიციის სუნი უდიოდათ: სტავხოიჩი, შიპოვი და სხ...

წვრილ და სხვილ მემამულეთა ასეთი სხვადასხვაგვარი როლი მიმდინარე არჩევნებში უეჭველათ იმ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებით აიხსნება, რომელიც ამ კლასების მიმართ უჭირავს განმათავისუფლებელ მოძრაობას. ეს მოძრაობა შედარებით ნაკლებ ცვლილებას უქადის წვრილ მემამულეთა დღევანდელ მდგომარეობას: არ პირდება მათ არც დიდ ბედნიერებას და არც დიდ უბედურებას; სამაგიეროთ იგი, მოძრაობა, ერთიანათ ძირის გამოთხრას უქადის მემამულე „ზუბრების" დღევანდელ მდგომარეობას ბატონყმობის ნაშთების სრული განადგურებით. და რადგან განმათავისუფლებელ მოძრაობის ბედ-იღბალი დიდათ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება დუმა, ამიტომაც „მოძრაობის" ბედ-იღბალში შედარებით ნაკლებ დაინტერესებული წვრილი მემამულე ნაკლებ დაინტერესებულია დუმის ბედ-იღბალშიაც, და, პირიქით, „მოძრაობის" ბედ-იღბალში თვის სიკვდილ-სოცოცხლის მხედველი სხვილი მემამულე „ზუბრი" თავგამოდებით ცდილობს თავისთვის სასურველი გავლენა მოახდინოს დუმის ბედ-იღბალზე შესაფერი კაცების არჩევით.

თუ ყოველსავე ამას დავძენთ, რომ სხვილ მემამულეთა აღნიშნულ მისწრაფებას (და მხოლოდ მას) ასე ერთგულათ ემსახურება 3 ივნისის კანონიც, აღარ გაგვიკვირდება, რომ რუსეთის თითქმის ყველა გუბერნიებში მემამულეთაგან არჩეულ ვიბორშჩიკთა დიდი უმრავლესობა მემარჯვენეებისაგან შესდგება. ცხადია, მთავრობის და ზუბრების მეცადინეობა ფუჭათ არ ჩაივლის და, რადგან, 3 ივნისის კანონის ძალით, მემამულეთა ვიბორშჩიკების ხმებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არჩევნების საბოლოო შედეგებისათვის, ამის მეოხებით შესაძლებელი შეიქნება „მემარჯვენე" დუმის შედგენა. მაგრამ ეს დუმა ემარჯვენე იქნება მხოლოდ თავისი უმრავლესობით, რომელიც უეჭველათ მოკლებული იქნება მიმართულების სიმტკიცეს. დუმაში აუცილებლათ შესდგება შესაჩნევი ოპოზიციაც. ამასთან საიმედოა, რომ ს.-დ.-იული ფრაქციაც კი მარტო ორი სამი კაცისაგან არ იქნება შემდგარი, გაზეთების ვარაუდით მესამე დუმაში 15-მდე მაინც სოც.-დემოკრატი მოექცევა. მთელი ოპოზიცია რომ მარტო ამ თხუთმეტიოდე კაცისაგან იქნეს შემდგარი. ასით შემთხვევაშიაც მას შეეძლება დიადი როლი შეასრულოს: იგი დუმის ტრიბუნიდან ხმა მაღლა, მთელი ქვეყნის გასაგონათ გამოთქვამს თავის გამგზავნელ მრავალ მილიონიან ხალხის სურვილებს და მკაფიოთ დაუპირდაპირებს მათ შედ-რებით ერთ მუჭა „ზუბრების" და ბიუროკრატიის სულის კვეთებას, და მით განსაცდელიდან დაიხსნის სახალხო წარმომადგენლობასაც.

ახალი ამბები

არჩევნები რუსთა კურიაში. თფილისის გუბერნატორის ჩერნიავსკის განკარგულებით დღეს 11 ოქტომბერს მოხდება დამატებითი არჩევნები („პერებალატიროვკა") ქ. თფილისის და ბორჩალოს მაზრის რუსთა კურიის ამომრჩევლებისა. ეს არჩევნები შიძლება უკანასკნელი დარჩეს. რომელი პარტიაც მიიღებს შედარებითი ხმის უმეტესობას, ცხადია ის იქნება გამარჯვებული. არჩევნები ზუბალაშვილის სახალხო სახლში იქნება, დილის 9 ს. საღამოს 9 საათამდე.

როგორც გადმოგვცეს დღევანდელ რუსთა კურიის არჩევნებში კადეტები დამოუკიდებლათ არ აპირებენ გამოსვლას, ისინი მისცემენ ხმას უფრო მემარცხენე პარტიას. რაც შეეხება „პატრიოტებს" და „რუსთა კავშირს", ისინი ან შეურიგდებიან ერთმანეთს, ან არა და ერთი მეორეს მისცემენ ხმას.

ტუსაღის გაქცევა. როგორც იტყობინებიან, ილიკო კოპალეიშვილი—„ვიბორშჩიკი" ქუთაისის გუბერნიიდან, 3 ოქტომბერს დილით 12 ს. სამტრედიის ციხიდან გაქცეულა.

მადანის აღმოჩენა. როგორც რაჭიდან გვატყობინებენ, სოფ. ბაჯში დვალების მამულში, სახელდობრ „აფანტის კლდეში" აღმოუჩენიათ შავი მაზის და ასფალტის მადანი. ზემოხსენებული მადანის ნიმუშები გაუსინჯავს ქუთაისის გუბ. მადნების მძებნელ ინჟინერთა კომისიას და მოუწონებია იგი. ხმებია გავრცელებული, რომ მის დამუშავებას ახლო მომავალში შეუდგებიან.

ბროშიურის აკრძალვა. საცენზურო კომიტეტის განკარგულებით აკრძალულ იქმნა მუშის ბიბლიოთეკის მე 10-ე გამოცემა მასლოვის ბროშიურა: „როგორ უნდა მოიპოვონ გლეხებმა მიწა" სომხურ ენაზე, გადათარმნილი ა-ფ. აკოფიანცის მიერ.

სამტრედიიდან გვატყობინებენ, ს. ეწერში (ქუთაისის მაზრა) ადგილობრივ სკოლაში, სადილობის დროს მოუწვევიათ სტრაჟნიკები, უკანასკნელნი შეზარხოშებულან და ვინმე კოლა ტელეგრაფისტისათვის სტრაჟების უფროს სილა გაურტყავს, ამის გამო დიდი არევ-დარევა მომხდარა, მაინც ზოგიერთებს მოუხერხებიათ საქმის უხიფათოთ დაბოლოვება.

სასოფ. სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება. 9 ოქტომბერს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შენობაში მოხდა ზემოხსენებული საზოგადოების საბჭოს კრება. განსახილველი კითხვა. იყო ხარჯთაღრიცხვის გადადება თფილისის საბაღოსნო სკოლისათვის, საბჭოს მდივნის და იონესიანის აზრით საკმარისი იყო 15,000 მან. საბაღოსნო სკოლის პედაგოგიური გამგეობის აზრით კი-22,000 მან. ამ კითხვამ დიდი დებატები გამოიწვია, რის გამო კითხვის გადაწყვეტა არ დაბოლოვებულა. ამის გამო მოწვეულია შემდეგი კრება ხვალ 12 ოქტომბერს.

მუშების გამარჯვება. აზარიანცის ქარხანაში მუშების გაფიცვა დამთავრდა სრული გამარჯვებით. 10 ოქტომბერს მუშებმა განაახლეს მუშაობა. გაფიცვას ხელმძღვანელობა ადგილობრივი უპარტიო პროფ. კავშირის ბიურო. გაფიცვა სულ სამ დღეს ვაგრძელდა.

გასამართლება. როგორც გადმოგვცეს ამას წინეთ დაპატიმრებული „რუსეთში, მიხაილ ფედოროვი ტულიო ციხიდან ბათუმისაკენ გამოუგზავნიათ. ქუთაისის ადმინისტრაციის ჩვენებით, მას ბრალდება ბათუმის აჯანყების მოწყობაში 1905 წ. 28 დეკემბერს მონაწილეობის მიღება.

პურის გაძვირება. 9 ოქტომბერს მთელ თფილისში გირვანქა პური 6 კაპ. ფასობდა: ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, განსაკუთრებით ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა შორის. ბევრ ალაგას მეპურეებთან მცხოვრებლებს მოუვიდათ უკმაყოფილება და თითქმის შეტაკებაც. მაინც გაჩერებული უცქერის ამ გარემოებას ქ. თვითმართველობა.

შერეული კომისიის შემდეგი კრება. დღეს 11 ოქტომბერს საღამოს 7 ს. ქ. თვითმართველობის შენობაში მოხდება კრება შერეულ კომისიისა არღუთინსკის თავმჯდომარეობით. კომისიის კრებას, გარდა წევრებისა, დაესწრებიან სავაჭრო ადგილების წარმომადგენლები, როგორც ხაზეინებიდან, აგრეთვე მუშებისაგან, მათ კომისია ჩამოართმევს დაწვრილებით ცნობებს მუშაობისას.

„ობრაზოვანიეს" დახურვა. როგორც გადმოგვცეს, წიგნის მაღაზიის „ობრაზოვანიეს" საქმეთა ლიკვიდაცია მოხდება 15 ოქტომბერს; ამის გამო მაღაზიის პატრონი და გამგე იწვევს კომისიონერებს და აგენტებს წიგნებისას მოვიდნენ ანგარიშის გასასწორებლათ.

აბანოების დათვალიერება. შაბათს, საღამოს, 6 ოქტომბერს, საუბნო სანიტარულ კომისიას დაუთვალიერებია მე-6 უბნის საზოგადო აბანოები და ყველგან უსუფთაობა აღმოუჩენია, განსაკუთრებით თამამშევის აბანო უკიდურეს მდგომარეობაში ყოფილა უსუფთაობის მხრით.

ქალაქის ახალი საბჭოს კრება. 15 ოქტომბერს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, საღამოს 8 ს. მოხდება ქალაქის ახალი ხმოსანთაგან შემდგარი საბჭოს კრება. პირველათ მოხდება ხმოსნების დაფიცება. შემდეგ იქონიებენ მსჯელობას იმის შესახებ, თუ როდის უნდა მოხდეს არჩევა ქალაქის თავისა, მდივნისა და საბჭოს კომისიებისა.

9 ოქტომბერს, შუადღის 2 ს. და 20 წ. მე-8 განყოფილების ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთათვის ს. ანტონოვიჩისათვის და კ. ორგანიტაკისათვის უცნობებს მოუპარავთ პირველისათვის: ორი შალტო, რეგოლვერი და კალოშები, მეორისათვის—შალტო, რეგოლვერი და 1 მან. ფულათ.

9 ოქტომბერს, მეცხრე ნაწილში, ბოლიციას შეუპყრია დუქნის პატრონები ნესტორი და გედევანა სალანელიძეები, უკანასკნელებისათვის მტკრცველებს რობაქიძეს და სიფაროვს კადაუცია 6 ოქტომბერს ორუთიანოვის მალაზიიდან გატაცებული ოქროსა და ვერცხლის ნივთები.

9 ოქტომბერს, 1-ლ პარალელურ ქუჩაზე მცხოვრებ № 7. ნიკოლოზ კოპანინცს დამის 3 საათზე მტკვრიდან გამოუყვანია ალექსანდრე ივანოვი, უკანასკნელი სიმთვრალის დროს კადაგარდნილა წყალში.

9 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ვერის დაღმართზე № 21 სახლში მცხოვრებ სემიონ გერბელიძისათვის ვიდაცას მოუპარავს ვალოსიპედი.

9 ოქტომბერს, რაკეტის ბიწრო ქუჩაზე № 9 სახლიდან ქსენია ბურჩენინისათვის ალექსანდრ კოჩეგეს მოუპარავს სხვა და სხვა ნივთები, დირებული 148 მან. კოჩეგი დაუპატიმრებიათ.

8 ოქტომბერს, საღამოს 8 ს. „ბალდერიალის" სასტუმროში მცხოვრებ ფეოდოსია დემიდენოვისათვის, როდესაც ის ოთახში არ ეოფილა, მოუპარავთ მისთვის სარგებელი ალეკანი, ამის გამო დაუპატიმრებიათ ბიბრგი არსალია და ალექსანდრე დარგმელია, უკანასკნელები კამოტეხილან ქურდობაში.

9 ოქტომბერს, ღამით მოსკოვის სასტუმროდან ემიდია ნეკროსოვისათვის, რომელსაც მას სძინებია ნიკოლოზ ამიდასგარს მოუპარავს მისთვის ბალაში, სპანი და სხვა ნივთები. ამიდასგარი დაუპატიმრებიათ.

9 ოქტ., დიდის 9 ს. 30 წ. შტაბის ქუჩაზე, ბუშკინის ბალის ახლოს ერთ უცნობს შეუჩერებია ბაქოდან ახლად ჩამოსული ბახჩა აკოფოვი, ამ უკანასკნელს ფული უნდა შეეტანა ბანკში, უცნობი შეჭკეთებია აკოფოვს—ფული ხომ არ დაკარგვია

ჯ ა შ უ შ ი

დრამა 4 მოქმედებათ. *)

მოქმედება მესამე

ლეგანი. სიკვდილით დასჯა! ნუ თუ სხვა გზა არ იყო?.. მაგრამ ეგეც მკვლელია, მაგალაც სისხლში აქვს ხელები გასვრილი. ღირსიც რომ იყოს, მაინც მამაა და ჩემი მოვალეობაა სიკვდილისაგან დავიფარო. მათ რომ თავისი სასტიკი გარდაწყვეტილება მართლა აღსრულებაში მოიყვანონ ჩემი ოცნება, ჩემი მიზანი მთლათ დაიღუპება. არა, ეს შეუძლებელია. წავალ, დავუჩოქებ, შევეხვეწები, შევაგნებინებ მათ,—რომ ეს გადაწყვეტილება სასტიკია, მათივე დამღუპველი. (შედგება და ჩაფიქრდება) მაგრამ ეს საიდუმლოებაა, ქალმა მომანდო... ასეც რომ არ იყოს, შენ ვინ ხარო, ასე მეტყვიან, შენ შვილი ხარ ჩვენი სისხლის მწოველის და რა გვაქვს შენთან საერთოვო... არა, მამაჩემმა უსათუოთ ბოდიში უნდა მოიხადოს და დღესვე უნდა დააკმაყოფილოს მუშების მოთხოვნილება, ეს თუ გამოაბრუნებს საქმეს, თორემ სხვა ვერაფერი (კარები გაიღება, შემოდიან გიორგი და პავლე).

პავლე. თუმცა მე მაინც და მაინც წინააღმდეგი არ ვარ იმისი, რო ფაბრიკა იქვე ავაშენოთ, მაგრამ ჩვენთვის ბევრათ უმჯობესია რომ ქალაქში გავაკეთოთ, ვიდრე სოფელში (ლევანს შეხედავს და ხელს ართმევს) აი თუნდა ლევანსა ვკითხოთ. მამათქვენი მიმტკიცებს ფაბრიკის გაკეთება სოფელში ჯობია, რადგანაც იქაური მუშები წყნარი ხალხია, აქაური კი ბუნტის მიმდევარიო.

ლეგანი. მუშები კი არ ბუნტობენ, გაუვლეფისა და მონობის წინააღმდეგ იბრძვიან, ამ ბრძოლას ქალაქის ჰაერი კი არ იწვევს, არამედ მუშების მდგომარეობა და ამ მდგომარეობის შეგნება. ამიტომ სოფელში კი არა, იალბუზის წვერზე რომ ააგოთ ფაბრიკა, მუშების ბრძოლა იქაც იჩენს თავს.

პაგლე. ჰოო, მეც სწორეთ ამ აზრისა ვარ, რომ მუშა იმის მუშაა, რომ საცა უნდა იყოს, მაინც უნდა ღრინავდეს. (გაიცინებს და მამა-შვილს გადახედავს) მაშ მშვიდობით! (ხელს ართმევს ორივეს).

გიორგი. მე მოვიფიქრებ, დავეკითხოთ სხვებსაც; იმ კვირაში ან აქ, ან სოფელში ფაბრიკის კეთებას შევუდგები და მადანზეც ხალხი დავაყენოთ სამუშაოთ (პავლე გადის, გიორგი სავარძელში დაჯდება, რამოდენიმე ხანს სიჩუმეა).

ლეგანი. მამაჩემო, შენ ფაბრიკას აკეთებ კიდევ?

გიორგი. ვაკეთებ.

ლეგანი. მერე რათ გინდა მეორე ფაბრიკა?

გიორგი. სახელისათვის. მშიერი პურს დაეძებს, მაძღარი კი სახელს, თუ მას თავში ჭკუა აქვს. სანამ ცოცხალი ვიქნები, მინდა, რომ ყველას მე ვჯობდე, მე კი ვერავინ ვერა მჯობდეს, მინდა რომ ყველა მე შემომნატროდეს, მე კი არავის, მინდა რომ ყველა ჩემს კეთილ განწყობილებას ეძებდეს, მე კი არავისას.

ლეგანი. მამა ჩემო, შენ სახელს მისდევ და ამავე დროს შენის მოქმედებით შენვე უთხრი ძირს შენს სახელს. შენ მომავალში იყურები და იმას კი ვერ ხედავ, რაც დღეს შენი თვალის წინ ხდება. შენ იმდენათ გაამწვავე მუშებთან დამოკიდებულება, რომ შენს მომავალს საფრთხე მოელის, თუ ეს მდგომარეობა არ გამოასწორე.

გიორგი (ზეზე წამოდგება). ვისგან მომელის საფრთხე? ჩემი მუშებისაგან? მაშ წადი, და შეატყობინე მათ, რომ მე მათი არ მეშინია.

ლეგანი. აქ შენზე და თავმოყვარეობაზე კი არ არის, მამა ჩემო, საქმე, აქ აწონ-დაწონა და გონივრული განსჯა უნდა, რომ საქმე სრულებით არ დაიღუპოს.

გიორგი. მაშ, აბა შენ რას მირჩევ შენის გონებით?

ლეგანი. შენ თავმოყვარეობით შებოროკილი ხარ და იმას, რასაც გარეშე ადვილათ ამჩნევს, შენ ვერ ამჩნევ. შენ დანაშაული მიგიძღვის მუშების წინაშე, შენ გამოუსყიდველი შეურაცხყოფა მიაყენე მათ წარმომადგენლებს, შენ მათ სისხლში ხელები გაისვარე, ერთი მათგანი იმსხვერპლე...

გიორგი. მე იმას ვნანობ, რომ სამივე არ დავხოცე, სამივე. მე სახლში შემომიხტენ და მე თავის დაცვის უფლებაც არ მაქვს ჩემს სახლში?

ლეგანი. დავანებოთ თავი იმის ძიებას, თუ ვინ ვის შეუხტა, და საქმეზე გადავიდეთ! საქმის გამოსწორება მხოლოდ შემდეგის პირობებით შეიძლება: შენ უნდა დააკმაყოფილო მათი მოთხოვნილებანიც, მათს წინაშე ბოდიში მოიხადო და უზრუნველჰყო...

გიორგი (მაგიდაზე ხელს დაჰკრავს). არასოდეს! როგორ? მე, გიორგი დიდებულიძემ, ჩემი მუშების წინაშე ბოდიში მოვიხადო? აბა ერთი შენ თვითონ დაფიქრდი, რას ლაპარაკობ? ფაბრიკა ჩემია და სანამ ცოცხალი ვარ, მე ვარ იქ ბატონი, სხვა არავინ; დავხურავ ფაბრიკას, და მუშებს კი ნამცეცის ოდენას არაფერს დავუთმობ. სანამ ცოცხალი ვარ, არ ვათქმევინებ ჩემს მუშებს: გაჯობეთო! გესმის? არ ვათქმევინებ.

ლეგანი (გულიმოსულ). არ ათქმევინებ, მამაჩემო, და გათქმევინებენ, მაშინ ინანებ, მაგრამ გვიან-ღა იქნება!

გიორგი. მემუქრები?!

ლეგანი. კი არ გემუქრები, გაფრთხილებ, გაფრთხილებ, მამა ჩემო! (გულმოსული) მთელი შენი სიცოცხლე შენ სასტიკი და თვითმპყრობელი იყავი და ასე გგონია, თუ შენ თვითმპყრობელობას ბოლო არ ექნება, მუშები დამონებული გყავდა და შენის შიშითა ძრწოდენ, მაგრამ დღეს მათ შენი აღარ ეშინიათ. შენმა სიმკაცრემ და დაუფიქრებლობამ იქამდე მიაღწია, რომ აი, ეს სახლი მათის სისხლით შეღებე, დღეს შენ მტარვალს გიძახის ყველა, მუშები ამას აღარ შეგარჩენენ, და თუ შენ დღესვე არ აღასრულე მათი მოთხოვნილება, დღესვე არ მოიხადე ბოდიში...

გიორგი (გააწყვეტინებს ყვირილით). გაჩუმდი მეთქი! მე ნებას არ გაძლევ მაგისთანა ლაპარაკისას! გამშორდი აქედან (კარებზე უთითებს).

ლეგანი. მე წავალ აქედან, მე სულაც აღარ მოგეკარები თუ გინდა, მაგრამ იცოდე, რომ შენი სიკვდილი გადაწყვეტილი აქვთ!

გიორგი (მიიწევს შვილზე). შენ გიხარია, შენ გინდა ჩემი სიკვდილი?

ლეგანი (სკამს მოკიდებს ხელს და შედგება, გიორგი შეჩერდება). გონს მოდი! კიდევ გიმეორებ, შენი სიკვდილი გადაწყვეტილია. მე კი არ გადავწყვიტე, იმათ გადაწყვიტეს, ვის სისხლშიაც შენ ხელები გაისვარე, შენ ერთათ-ერთი გზა დაგრჩენია: აასრულო ის, რაც მე გირჩიე, როგორც შვილმა, რომელსაც შენში მამა ეცოდება. მერწმუნე, რომ შენთვის კეთილი მსურს მხოლოდ და მართალს გეუბნები. დაფიქრდი, აწონ-დაწონე, უბრალო თავმოყვარეობას და ეინს ნუ გადააატან ნურც შენს თავს, ნურც სხვას (გადის).

გიორგი (ყვირილით). არასოდეს! არასოდეს! მე მათ ვაჩვენებ, როგორ უნდა მოკვლა! (ზარს რეკავს, შემოდის მოსამსახურე). ახლაღე შეატყობინე სპირიდონს, რომ აქ მოვიდეს (მოსამსახურე გადის, გიორგი აღელვებული დადის). მე მათ ვაჩვენებ! სიცოცხლეს გავუმწარებ... სულს ამოვართმევ, ბედს ვაწყევლინებ. რაკი სიკეთეს ვერ აფასებენ, ცუდკაცობასაც ვაჩვენებ! შიმშილით დავხოცავ... ციხეში დავალპობ! ლუკმა-პურის მთხოვნელათ გავხდი ყველას (შემოდის მაკრინე და გაოცებული, თან კრძალვით, გიორგის შეჩერებია).

მაკრინე. რა მოხდა ამისთანა, რომ ასე გაცხარებული დადიხარ? ღმერთო, ერთი როდის იქნება, რომ მოსვენებული ცხოვრება გვეღირსოს.

გიორგი. შენ სულ მოსვენებული არა ხარ?

მაკრინე. ისე შენმა მტერმა მოისვენა, რავარც მე ვიყო მოსვენებული. რამ მომასვენა? ორი დღე, ერთი მეორეზე არ მოებმება ისე, რომ გული დამიწყნარდეს. რა იყო? ხომ არაფერი მომხდარა კიდე?

გიორგი. არაფერი (დადის).

მაკრინე. მაინც, შე მამაცხონებულო, სულ პატარა რამეზე ისე აენთები თითქოს ქვეყანა იქცეოდესო.

გიორგი. ქვეყანას თავში ქვა უხლია. ჩემსას მე ერთი კაპეიკისას არავის გავატან, თავს არავის არ დავაჩაგვრინებ.

მაკრინე. დიახაც რომ აგრე უნდა. ჩემი აზრიც ეგ არის, რომ ადამიანმა თავი არავის უნდა დაეჩაგვრინოს. მარა, ყმაწვილი ხომ აღარა ხარ? ერთხელაც არის

მას, ამ დროს ორი უცნობიც მისულა და დაუწყიათ ჩხრეკა, ამოუტლიათ 200 მან. და მიმავალნენ.

გურიის ქრონიკა

1, 2 და 3 ოქტომბერი გურიაში გაატარა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწემ. როგორც ლანჩხუთიდან გვატყობინებენ, იქ მას გამოუძიებია ლანჩხუთის საქმეები, ბოქაულ მიქიაშვილის თოფის სროლით გამოწვეული. გამოიძია აგრეთვე სომეხი ივან ბარეაზიანცის მოკვლის საქმე. საქმის გამოძიებამდე სამსახურიდან გადაყენა მაზრის უფროსი ერმოლოვი.

— ოზურგეთის მაზრის უფროსათ დაინიშნა წინათ გურიაში მაზრის უფროსის თანაშემწეთ ყოფილი ვ. ქელბაქიანი.

— ხუთშაბათს, 4 ოქტ., ოზურგეთის სატუსაღოდან ქუთაისში გაგზავნეს ეტაფით 30-მდე პოლიტიკური ტუსაღი, რომელნიც გადასახლებულნი არიან შორეულ გუბერნიებში. სხვათა შორის გაიგზავნა ნ. ლესელიძე, გაგუა, ვადაჭკორია და ვარ. კალანდაძე (ეს უკანასკნელი ამ სამი თვის წინათ რუსეთიდან მოიყვანეს დაჭერილი და ეხლა ისევ უკანვე გაგზავნეს).

— ბათომიდან დაჭერილი ამოეყვანეს გ. მამულაიშვილი. მამულაიშვილი ერმოლოვის მოკვლის განზრახვის გამოა დაპატიმრებული.

— 27 კაცის საქმე, რომლებიც ს. შემოქმედში დაიჭირეს და მაზრის უფროსმა ერმოლოვმა გადაასახლა, გუბერნატორის თანაშემწემ გააუქმა, და მათი საქმე გამომძიებელს გადასცა გამოსაძიებლათ.

— გომის მთის გზაზე ამ რამოდენიმე დღის წინათ, ვაღაც ქურდ-ბაცაცებს გაუძარცვავთ მგზავრი აჰარლები.

— ამ წინაზე მოხდა ოზურგეთის განყოფილების სამღვდელოების კრება. კრებას დრამა ფულის შესახებ შემდეგი რეზელიუცია გამოუტანია: „რადგანაც ხალხი უკიდურეს სიღარიბეშია ჩავარდნილი და ეკონომიურათ გალატაკებულია, და აი ასეთ პირობებში არ შეუძლია გადაიხადოს დრამა ფული, ვადგენთ, რომ დრამა ფული გლეხებს არ გადავახდევინოთო. ეს რეზოლიუცია სინოდს გაეგზავნება.

— შანტაჟისტური მოქმედება გურიაში ჩქარი ნაბიჯით იზრდება და ვითარდება. წერილების მიწერ-მოწერა და „ანარქისტული“ მუქარა, ჩვეულებრივ მოვლენაო აქციეს და დდ ისე არ გაივლის, რომ ვინმეს მუქარის ბარათი არ მიუვიდეს. ამ ბოლო ხანებში უკვე მოახდინეს

ისე მოიყვან გულს, რომ ან გულს გაიხეთქავ და, ან დამბლა მოგივა (შემოდის დაღალული სპირიდონი და ხელს არ-თმევს ორივეს).

გიორგი (მაკრინეს). შენ პატარა ხანს მარტოკა დაგვტოვე, საქმე გვაქვს (მაკრინე გადის).

სპირიდონი. მე აქამდინაც უნდა მოვსულიყავი. მაგრამ მუშებს კრება ჰქონდათ და მინდოდა დაწვრილებით გამეგო ყველაფერი.

გიორგი. სადა ჰქონდათ კრება?

სპირიდონი. ჩვენს ექიმთან. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ის ექიმი ფრიად მავნე პირი აღმოჩნდა. პირველი თქვენი მტერი და მუშების წამქეზებელი ისა ყოფილა. ის უსათუოთ უნდა დაითხოვოთ.

გიორგი. ის მუშები, აქ რომ მოეთრენ დელეგატებათ, დაითხოვეთ?

სპირიდონი (ღიმილით). ერთი თვითონ დაგვეთხოვა, ღმერთთან წავიდა.

გიორგი (ხელს ჩააქნევს). ვიცი, იმ ორს რა უყავით?

სპირიდონი. დავითხოვე, მაგრამ მაინც დადიან. ასე მითხრეს, ამხანაგების დათხოვა ჩვენი საქმეა და არა თქვენიო.

გიორგი (მაღალის ხმით). მერე თქვენ რა უპასუხეთ?

სპირიდონი. ბატონო! სანამ ექიმს არ დაითხოვთ, ჩვენს ფაბრიკაში უწესოობას, მუშების თავხედობას და თავგასულობას ბოლო არ მოეღება. რაც არის, ის არის. ის ამღვრევს წყალს, ის აქეზებს ყველას; ჩემი მდგომარეობა მეტათ საშიშია. ერთი რომ ვუთხრა რამე კიდევ დათხოვის შესახებ, სწორეთ რევოლვერს მესვრიან, ნადვილათ მომკლავენ, თუ ის არ მომაცილეთ.

გიორგი. ჩემი სიკვდილი იმ კრებაზე გადაწყვიტეს?

სპირიდონი. მაგას რას ბრძანებთ? ეგ შეუძლებელია! მაგისთანა აზრის თავში გატარება რომელი მათგანი გაბედავს?

გიორგი. თქვენ მიპასუხეთ პირდაპირ, იქ გადაწყვიტეს თუ არა?

სპირიდონი. მაგგვარი მე არაფერი არ გამიგია, ტყუილი იქნება.

გიორგი. როგორც ვატყობ, თქვენს მოვალეობას თქვენ კარგათ ვერ ასრულებთ. მე ნამდვილათ ვიცი, რომ მუშებს ჩემი მოკვლა უნდათ.

სპირიდონი. ღმერთმა ხომ იცის, რომ ჩემს სიცოცხლეს არა ვზოგავ, ოღონდ თქვენი გული მოვიგო ჩემის რიგიანი სამსახურით, მაგგვარი არაფერი გამიგია, ხოლო მაგისთანა საზიზღარი აზრი თუ ვისმე დაებადა, ისევ ექიმს ან იმ დელეგატებს, თქვენთან რომ იყვენ (წამოდგება) იცით, რას გირჩევთ? ჟანდარმთა პოლკოვნიკს მისწერეთ წერილი, რომ დაიჭიროს ამელამვე შემდეგი პირნი (უბიდან ქაღალდს ამოიღებს) ექიმი, მუშები: ლასა ტყემალაძე, ილიკო შაქრუაშვილი, ალფეზა ენუქიძე, ვანო აბჟანდაძე, ლევანტი ცხაკაია, ამბაკო ცხადაძე, და რაჟდენ სტურუა, თავი და თავი მეამბოხენი ესენი არიან და ის თხოვეთ კიდევ, რომ სასტიკი ობისკები მოახდინოს მუშებში.

გიორგი. მეც მაგას ვფიქრობდი და ამიტომ დაგიბარეთ (დაჯდება მაგიდასთან და წერილისა წერს, შემდეგ დაბეჭდავს და მიცემს სპირიდონს) ახლავე უნდა წახვიდეთ და ეს წერილი გარდასცეთ ჟანდარმის პოლკოვნიკს (სპირიდონი წერილს ართმევს) შემდეგ უნდა მონახოთ ჩვენი ბოქაული და უთხრათ, რომ სამი პოლიციელი დააყენოს ჩემს სახლთან დღე და ღამე, ოცი თუმანი მიეცით ხვალე.

სპირიდონი. ყოველისფერს ავასრულებ (თავს უკრავს და გადის). გიორგი ზალაში დადის, შემდეგ სავარძელში ჩაეშვება და ფარდა ნელ-ნელა ეშვება).

თარდა.

IV. გომართელი.

(გაგრძელება იქნება).

რამოდენიმე შანტაჟისტური აქტი. ასეთი მაგალითები მოხდა ვაკიჯვარში, ბახვში ცხემლის-ხიდზე და ამ დღეებში ს. შემოქმედში. შანტაჟისტები ითხოვენ: ფულს და იარაღს, და ასახელებენ, რომ ჩვენ ამას „სოციალისტ-რევოლიუციონერების“ პარტიის დავალებით ვვრეტენთო.

— ს. ლიხაურში ცარცვა-გლეჯა უმაღლესათ განვითარდა და მეტვავე ხასიათს იღებს. ზოგიერთი აჰარლები ჩვეულებრივათ თარეშობენ და იტაცებენ შინაურ საქონლებს. დამოკიდებულება თანდათან მეტვავდება. ჰერ.

პარტიების ცხოვრებიდან

პეტერბურგის ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის სხვადასხვა აზრი ტრიალებს იმ კითხვის შესახებ, თუ რა ფორმით უნდა გამოეცხადოს თანაგრძნობა მეორე დუმის სოც.-დემ. ფრაქციას მისი საქმის გარჩევის პირველ დღეს. მენშევიკებს არ მოსწონთ ცენტრ. კომ—ტის დადგენილება გაიმართოს ამ დღეს ერთი დღის გაფიცვა ადგილისა და პირობების მიუხედავათ. მენშევიკებს საკმარისათ მიაჩნიათ, რომ ყველა ქარხნებში საქმის გარჩევის დღეს მიღებულ იქნას რეზოლიუცია, რომელიც უნდა გადაეცეს სასამართლოს თავმჯდომარეს ფართო გამოსაქვეყნებლათ.

ფინლიანდიის სოც.-დემ. მ. პარტიის საბჭომ მოწოდებით მიმართა ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ მათ ყოველი ღონისძიება იხმარონ პარტიიდან ანარქიულ და პროვოკატორულ ელემენტების გასადევნათ. იმ მოწოდებაში, რომელსაც სათაურათ აქვს „ძირს მძარცველნი და პროვოკატორები“, საბჭო უჩვენებს საზოგადო მიზეზებზე, რომელნიც ხელს უწყობენ ფინლიანდიის ნიადაგზე ანარქიის და ტეროორისტულ აქტების აღორძინებას, ხაზ-გასმით აღნიშნავს სოც.-დემოკრატიის მტრულ დამოკიდებულებას ბრძოლის ასეთ წრეების მიმართ და აცხადებს, რომ 1905 წლის საყოველთაო გაფიცვამ მიიზიდა პარტიაში აუარებელი ახალი წევრები, რომელთაც პარტიული პროგრამა და ტაქტიკა ზერელეთ აქვთ შეთვისებული. საბჭო ურკვევს პარტიულ ორგანიზაციებს ბურჟუაზიის რეაქციონურ ელემენტების მეცადინეობას წააქეზონ ანარქიულ მოქმედებაზე პროლეტარიატის ნაკლებ-შეგნებული ნაწილი, რომ შემდეგ ყველაფერი პარტიას დაებრალონ და მოუსპონ მის ლეგალურ ბრძოლის საშვალება; საბჭო მოგონებს პარტიულ ორგანიზაციებს

სპირიდონი. ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკი

გიორგი. ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკი

34. თუ საკმაო წევრების მოუსვლელობის გამო საზოგადო კრება ვერ შესდგა, მაშინ საზოგადო კრება ხელახლა ინიშნება და რამდენი წევრიც უნდა დესწროს, მაინც კანონიერად ითვლება.

35. საზოგადო კრებაზე უფლა კითხვები წყდება უბრალო ხმის უმეტესობით და ფარული კენჭის ყრით.

VI კავშირის დახურვა.

36. კავშირის დახურვისათვის საჭიროა წევრთა ორი მესამედის თანხმობა; დახურვისათვის საჭიროა ორი ზედიზედ მომხდარი კრების სურვილი. მესამე ბერგელი კრების შემდეგ მეორე კრება უნდა დაინიშნოს არა უგვიანეს ორი კვირისა.

37. კავშირის დახურვის შემდეგ უძრავ მოძრავი ქონება მოიხმარება საზოგადო კრების გადწყვეტილების თანახმათ.

წესდების მიღების დროს ეამორკვა, თუ ვინ უნდა იყოს კავშირის წევრი, ანგარიშებირა დროს გამოდიოდეს, რაიონული ორგანიზაციები როგორ უნდა მოეწყოს და რეორგანიზაცია საცილებლათ უნდა მოხდეს. კონფერენცია მით ამაოთვილდება და შემდეგ კითხვაზე გადადის.

აპოლონ ჩამწარდაძე

(გაგრძელება იქნება)

საარჩევნო კამპანია.

— პეტერბურგში მცხოვრებ პოლონელ ამომრჩეველებმა საარჩევნო კრება გამართეს, რომელზედაც მიიწვიეს სხვა და სხვა პარტიების-მიერ სადეპუტატო კანდიდატებათ წამოყენებული პირები. პოლონელთა წარმომადგენელმა თხოვა კანდიდატებს პასუხი მიეცათ სხვა და სხვა კითხვებზე, რომლებიც განსაკუთრებით აინტერესებს პოლონელებს. ამ კითხვების საფუძველს თავისთავათ შეადგენს პოლონეთის ავტონომიის საკითხი. კადეტების ლიდერმა მილიუკოვმა განაცხადა, რომ მას ამ ეამათ არ შეუძლია პარტიის სახელით პასუხი გასცეს. დაყენებულ კითხვებზე. სოც.-დემ. პარტიის-მიერ წამოყენებულმა კანდიდატმა ნ. სოკოლოვმა ილაპარაკა, გაილაშქრა კადეტთა პარტიის წინააღმდეგ და განაცხადა—ეს პარტია მზათ არის უარყოს პოლონეთის ავტონომიაო. ორატორი რამდენჯერმე გაჩერა ბოქაულმა ხოლო როცა მან პარლამენტის გარეშე მოქმედება მოიხსენია, მაშინ დახურულ იქნა თვით კრება.

— ყველა იმ ექვს გუბერნიაში, რომლებიდანაც მუშებს უფლება აქვთ თითო საკუთარი წარმომადგენელი გაგზავნონ დუმაში, მუშათა ვიბორშჩიკებათ არჩეულ იქნენ მხოლოდ სოც.-დემოკრატები,—ასე რომ, ექვსივე მუშათა დეპუტატი უეჭველათ სოც.-დემოკრატები იქნებიან.

— ვარშავაში სოც.-დემოკრატების საარჩევნო აგიტაცია შეწყვეტილ იქნა პოლიციის მიერ.

— ლოძის ქალაქის კურიაში ერთ უბანში გაიმარჯვეს სოც.-დემოკრატებმა და გაიყვანეს 24 ვიბორშჩიკი, დანარჩენ სამ უბანში-კი გავიდენ სულ ნაროდოვეცები—56 „ვიბორშჩიკი“.

— კიევში ადგილობრივ გაზეთების რედაქციებს მრავალ „ვიბორშჩიკებისაგან“ თხოვნა მისდით—ნუ გამოაცხადებთ, რომ ჩვენ მემარცხენე პარტიებს ვეკუთვნით, რადგან რეპრესიების გვეშინია და უპარტიონი გვიწოდეთო.

რუსეთის ამბები

ზომები ს.-დ. ჟურნალის წინააღმდეგ. ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველომ განკარგულება მოახდინა მიღებულ იქნას ზომები, რომ სოც.-დემ. ჟურნალი „რადუგა“ („ცისარტყელა“), რომელიც საზღვარგარეთ გამოდის, ვეღარ შემოიტანონ რუსეთის საზღვრებში.

ოხაბკოს გაქცევა. პირველ დუმის დეპუტატი ონიპკო, რომელიც გადასახლებულ იქნა ციმბირში, როგორც გაზეთებს გაუგია, გზიდან გაქცეულა.

დუბროვინის ქონების აწერა. 1-ლ ოქტომბერს რუსის ხალხის კავშირის ლიდერს დუბროვინს ბინაზე პოლიცია ეწვია და გამოუცხადა, რომ გრადონაჩალნიკის ბრძანებით, აწერილ იქნა მისი ეტლები და ცხენები, ღირებული 1000 მან. იმ ჯარიმის გადასახდელათ, რომელიც გრადონაჩალნიკმა დაადო მას „რუს. ზნ.“-ში შეუწყნარებელ წერილის დაბეჭდვისათვის. დუბროვინმა, ხსენებულ გაზეთის სიტყვით, ფული შეაძლია პოლიციას, მაგრამ უკანასკნელმა არ მიიღო, რადგან ფული 29 სექტემბერს უნდა ყოფილიყო შეტანილი ხაზინაშიო. დუბროვინმა ოქმზე ხელი არ მოაწერა.

ს. დ. პარტიის წევრობისათვის ქალ. ორიოლში სიმოსამართლო პალატამ სამი წლით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა პუდელმანს რ. ს. დ. მ. პარტიის წევრობისათვის და კიდევ პროკლამაციის გადაცემისათვის.

ყოფილ დეპუტატის საქმე. ეს მესამეჯერ გადაიდვა პირველ დუმის ყოფილ დეპუტატის „ტრუდოვიკის“ კუკანოვის საქმე, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ პირველ დუმის დათხოვნის შემდეგ მან სასოფლო ყრილობაზე გლეხები მოიწოდა, ნუ გადაიხდათ ხარკს და ნუ წახვალთ სალდათათო. ამ საქმის განხილვა გადადება სამივეჯერ იმას გამოუწვევიას რომ არც ერთხელ სასამართლოში არ გამოცხადებულა მთავარი მოწმე—ისპრავნიკი, რომელსაც თვითონ აღუძრავს ეს საქმე. ამის გამო სასამართლომ 50 მანეთით დააჯარიმა ისპრავნიკი.

„არა ზემოაღნიშნულ ფერის“ ხალათები. ანანიევსკის პოლიციას იერიში მიუტანია წითელ და შავ ხალათებზე, რომლების ტარებაც სასტიკათ აუკრძალავს. შემდეგ მას „აუკრძალავს“ თვითონ ის პირნი, ვინც გაკადნიერდა და არ დაემორჩილა „მთავრობის კანონიერ მოთხოვნას“ შეეკერათ ხალათები „არა ზემოაღნიშნულ ფერისა“, და დაუტუსაღებია თორმეტი კაცი.

მუშათა შორის.

პროფესიონალური კავშირები რუსეთში ამ ეამათ დიდ კრიზისს განიცდიან ადმინისტრატიულ რეპრესიების გამო, რომლებიც ამ ბოლო დროს ერთი-ორათ გაძლიერდა. განსაკუთრებით დაატყდა თავზე რეპრესიები მოსკოვის და მის სამრეწველო რაიონის კავშირებს. მოსკოვის სამრეწველო რაიონში ფეიქარ მუშათა კავშირებს შეკავშირებულ მუშათა რაოდენობით პირველი ადგილი უჭირავთ. სულ ამ რაიონში ირიცხებოდა 44 საფეიქრო კავშირი 30 ათასი წევრით. ამეამათ საქმეთა ვითარება ძალიან შეიცვალა. მრავალი აქ ხსენებულ კავშირთაგანი ამ ეამათ ერთიანათ დანგრეულია, ხოლო დარჩენილ კავშირებში წევრთა რიცხვი თვალსაჩინოთ დაეცა და საფეიქრო კავშირების ნამდვილ წევრთა რაოდენობა დღეს ძლივს თუ აღემატება 5—6 ათასს. საფეიქრო წარმოებაში პროფესიონალურ მოძრაობის ასეთ დაქვეითებას დიდათ შეუწყო ხელი მასში მომხდარ გაფიცვის დამარცხებამ და ქარხნების დაკეტვამ, რის გამოც პროფ. კავშირებს ჩამოშორდა მუშათა ფართო მასსა. მაგრამ უკეთეს მდგომარეობაში არ არიან არც სხვა დარგის კავშირები,—ისეთებიც-კი, რომლებიც საუკეთესო კავშირებათ ითვლებიან. ბეჭდვითი საქმის მუშათა, ლითონზე მუშათა, მკერვალთა, მეჩექმეთა და სხვა კავშირებში საწევრო ფულის გადამხდელ წევრთა რიცხვს მაისიდან სექტებრამდე 70 პროცენტით დაუკლია. ეს პირდაპირი შედეგია ადმინისტრატიულ რეპრესიების, რომელთაგან გულ გატეხილ მუშათა მასსას თითქო აღარ სწამს კავშირების საჭიროება და სარგებლობა. მაგრამ პროფესიონალურმა კავშირბემა შეიგნეს, რომ ასეთი მდგომარეობიდან გამოსასვლელათ და მუშათა კვლავ პროფ. მოძრაობაში ჩასაბმელათ საუკეთესო საშვალებაა კულტურული და განმანათლებელი მოქმედება და კიდეც შეუდგენ ასეთ მოქმედებას.

ქ. ენატაევსკი (ასტრახ. გუბერ.)

„ერთგულ და მუყაით სამსახურისათვის“, მთავრობამ 9 ივნისის კანონით, ასტრახანის გუბერნიაში გადმოსახლებულთ „ჯამაგირები“ მოგვიმატა. ამ ეამათ ენატაევსკში მყოფ პოლიტიკურებს წინანდელ 2 მ. და 70 კაპ. ნაცვლათ ეხლა თვიურათ ეძლევათ 7 მ. და 70 კაპ. ეს ყველა არა „კეთილშობილებს“, ხოლო მათ, ვ-საც ბედმა „კეთილშობილება“ არგუნა, როგორც მაგალითად აზნაურებს, ამათ კი ეძლევათ 13 მ. 25 კ. აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ ამგვარ „შობილთა“ რაცხვი გადმოსახლებულებში მცირეა, სულ არ აღემატება 10 პროც.

ამრიგათ, თუ ჩვენს წინანდელს და აწმყო ცხოვრების ნივთიერ მხარეებს ერთმანეთს დავუპირდაპირებთ, აღმოჩნდება, რასაკვირველია, რომ ძველებურ მწვავე გაჭირვებას ადგილი აღარა აქვს, თუმცა ცოტას კიდევ რომ „წაგვიმატებდენ“, არც თუ მაშინ მოკვეჭარბდებოდა, მხოლოდ მაგარი ისაა, რომ ამგვარ მატებასაც „შნო“ არა აქვს. თავის ჯიბიდან რას მოიკლებენ, ისევ ხალხის კისერმა არ უნდა ზღოს?..

23 სექტემბერს ენატაევსკში მოხდა სამაზრო არჩევნები. გამარჯვება მემარცხნე კანდიდატებს დარჩათ. ამგვარივე შედეგი მოყვა ზოგიერთ მეზობელ მაზრების არჩევნებსაც. საერთოთ უნდა ითქვას, რომ თუმცა ასტარახანის გუბერნია საკმაოთ ჩამორჩენილ მხარეთ ითვლება, მაგრამ მაინც იმედია წინანდელ დეპუტატებსავით, რთგორიც იყვენ მაგალითათ დოლგოპოლოვი და ევრინოვი, ეხლაც სასურველ მემარცხენეებს აირჩეენ.

მთელი ასტრახანის გუბერნია პოლიტიკურებით აივსო. ამ უკანასკნელთა სასახელოთ კი უნდა ითქვას, რომ მათ საერთოთ ისე ღირსეულათ უჭირავთ თავი, რომ ყოველ აგიტაციასა და საგანგებო ცდაზე არა ნაკლები შედეგი მოაქვს მათს სამაგალითო ყოფაქცევას. პოლიტიკურებმა დიდი დახმარება გაუწიეს არჩევნების დროს მემარცხენეებს.

ამ ცდამ სასურველი ნაყოფი გამოიღო და ადგილობრივი შავრაზმელები თავის „სამზადისითურთ“ ყირულზე გაცურვებულიდარჩა. მას ვერ უშველა საგანგებოთ რეპრესიებმაც-კი.

რამდენადაც აქაური ადმინისტრაცია დღემდის „გულკეთილობას“ იჩენდა, იმდენათ მან არჩევნების მოახლოვებისას და განსაკუთრებით კი არჩევნების შემდეგ, „კურსი“ გამოიცვალა, მოუმატეს „წესიერების დამცველთა“ რიცხვს, შეაიარაღეს იგინი და მიყვეს ხელი ზოგიერთ „შენიშნულთა“ ამხანაგთა ბინის გაჩხრეკას. ალბათ ამგვარ შრომამეცადინეობიდანაც „უკმაყოფილონი“ დარჩებოდენ, რადგანაც მხოლოდ „პირველი“ ამხანაგი პ—სკის ბინის გაჩხრეკის დროს დააკავეს რაოდენიმე წიგნაკი, თორემ სხვებს „არაფერი აღმოაჩნდათ“.

როგორც მოგეხსენებათ, რა რომ ნეტარი „თავისუფლება“ დაგვიდგა, მას შემდეგ ხომ ყველა წიგნაკ-გაზეთები „თავისუფლათ“ იბეჭდება, მაგრამ ეს აქაურ ადმინისტრაციას აქნობამდე ვერ გაუგია, ან ვერ მეუთმენია ესეთი „წესი“. ზოგ წიგნაკს, თუმცა „ცენზურის ნებართვაც ამშვენებდა, მაგრამ საკვირველი გამოცანა მათთვის ის იყო, რომ ზოგ ამგვარ წიგნებსაც „სოციალური სახელწოდება“ ქონდათ სათაურათ, და ეს კი მათის აზრით შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, ამიტომ ამგვარი წიგნაკებიც წაიღეს. ხოლო რაც ნამდვილათ წასაღები იყო, იმას ხელიც არ ახლეს. მაგალითად წიგნაკი: „მონარქიული პარტიები“ ხელუხლებლათ პატრონს დაუტოვეს, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ „მონარქიული“ სახელწოდება ჰქონდა სათაურათ.

— რას უპირებთ ეხლა მაგ წიგნაკებსო? უკითხავს ღიმილით პ—ის ისპრავნიკის“ თანაშემწისათვის.

— წავიკითხავთ, და თუ შინაარსი საწინააღმდეგო არ აღმოჩნდა ისევ უკან დაგიბრუნებთო. უპასუხნია მას.

— ოღონდ იკითხეთ, განვითარდით, და მაგ გვარ წიგნებს რანდენსაც მოითხოვთ მოგაწვდიო ხოლმეო. შეუნიშნავს პ—ის.

ამ სიტყვებზე თვით „მათი აღმატებულობის“ „თავხედ“ ხელქვეითებსაც კი „ჩუმი სიცილი“

როგორც შევიტყვეთ, ამ „სიტყვიერ შეურაცყოფისათვის“ და აგრეთვე ზოგიერთ წინანდელ „ცოდვების“ მოსანანიებლად, პ-ის „ხანსკი სტავკაში“ უპირებენო გადასახლებას („ხანსკის სტავკის“ მეტ სახელად ასტრ. გუბ. კატორღას უწოდებენ) მაგრამ ამაოდ. ამ გზებითაც უმუხლებთ იმედი.

ნიკ. ჯაფარიძე

P. S. მე მივიღე სარდიონ ბეჟანის ძე მამალაძისაგან ქალაქ შემახიდან ერთი თუმანი, რაიცა შემოსწირეს მან და მისმა მეუღლე მარიამმა აქაურ ხელმოკლე გადმოსახლებულებს.

ზემოაღნიშნული ფული მე გადავეცი ადგილობრივ დამხმარე კომიტეტს, რომელმაც შესაფერისათ გაანაწილა იგი ნივთიერათ შევიწროებულ ამხანაგთა შორის.

როგორც პირადათ მე, აგრეთვე მთელის კოლონიის მონდობილობით ულრმეს მადლობას ვუცხადებ პატივცემულ შემომწირველთ ამხანაგურ დახმარებისათვის. ნ. ჯ—ძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

— გაზ. „ისრის“ № 220-ში მოთავსებულია წერილი ასოთ-ამწყობ ნ. გ.-სი, რომლითაც იგი მიწვევს სამედიატორო სამართალში. მე მოვახსენებ სიმართლეს ბ-ნ ნ. გს. არავითარი პასუხი არ მინდოდა მიმეცა მის წერილებზე, რადგანაც ვცნობდი მათ სიმართლეს მოკლებულათ, მაგრამ რადგანაც ასე ჩამომეკიდა და აღარ მეშვება ჩემის მხრით, სიმართლის გამოსარკვევათ, დიდი სიამოვნებით ვეთანხმები სამედიატორო სამართალში გამოსვლაზე და მედიატორებათ ჩემის მხრით ვასახელებ: გიორგი მაისურაძეს და მ. აბრამოვს. ვთხოვ თავის მხრითაც დაასახელოს მედიატორები. **გ. ოგანეზოვი.**

დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.)

9 ოქტომბერი

ვილნო. სოფ. ლესნიკაში დაიწვა 41 სახლი. ზარალი 40000 მანეთს აღემატება.

ჟიტომირი. გუბერნია ხოლერის მხრით საეჭვოთ იქნა ცნობილი. ახლათ არავინ გამხდარა ავათ.

კრემენჩუგი. ხოლერით გარდაიცვალა ერთი კაცი.

ეკატერინოსლავი. ორ დღეში ავათ გახდა ხოლერით 13 კაცი, მოკვდა 6, გადარჩა 3.

სემიპალატინსკი. 4—8 ოქტომბრამდე გემებიდან ჩამოაყვანეს 8 ხოლერით ავათმყოფი, რომელთაგან 2 უკვე გარდაიცვალა.

ომსკი. ხოლერით ავათ გახდა 4, მოკვდა 4 კაცი.

სიმბირსკი. გუბერნიაში ხოლერით ავათ გახდა 2 კაცი, მოკვდა 1.

კიშინევი. აღმოჩნდა ერთი ხოლერით ავათმყოფი.

ჩერნიგოვი. ხოლერით ავათ გახდა 8, მოკვდა 2 კაცი.

პოლტავა. მღვდლის შვილს კირიდოვს, რომელსაც საგუბერნიო სამმართველოს სოფეტნიკი ფილონოვის მოკვლა ბრალდება, სამხედრო-სასჯელო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

ამასთანავე სასამართლომ დასდგინა ეთხოვოს კიევის გენერ. გუბერნატორს სიკვდილის კატორგით შეცვლა.

ორენბურგი. ტროიცკის მაზრაში 2 კაცი მოკვდა ხოლერათ.

ბორისოგლებსკი. ვიღაც უცნობებმა მძიმეთ დასჭრეს ლესნიჩი კორნეხოვსკი და მისი მხლებელი სტრაჟნიკი ვენგეროვი.

ეკატერინოსლავი. ხოლერით ავათ გახდა 3 კაცი.

ორენბურგი. ჩელიაბინსკის მაზრაში ხოლერით ავათ გახდა 6 კაცი.

სიმბირსკი. ხოლერით ავათ გახდა 2 კაცი, მოკვდა 2.

ომსკი. ხოლერით ავათ გახდა 2 კაცი, მოკვდა 3.

მოსკოვი. კოლომენსკის მაზრაში ხოლერით ავათ გახდა 3 კაცი.

კიევი. 8 ოქტომბერს კიევში ავათ გახდა 78 კაცი, ხოლო მოკვდა 19.

პერმი. 7 ოქტ. ღამით თავს დაესხენ ტელიაკოვსკის სოფლის სამმართველოს. სასიკვდილოთ დასჭრეს ათასის თავი და ორი ურჩუული, ხოლო წაღებით კი ვერაფერი წაიღეს.

არხანგელსკი. მდ. ჩრდილოეთ დვინაზე შესწედა გემების მიმოსვლა.

ლიმოჟა. რადზოვილოვში 8 ოქტომბერს დაიწვა 100 სახლი და 300 სხვა შენობა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ხოლერის გაჩენიდან ავათ გახდა 480, მოკვდნ 225 კაცი.

მოსკოვი. უნივერსიტეტის იურიდიულ კორპუსში სტუდენტებმა ნება დაურთველი კრება გამართეს სტუდ. ბრიუნსა და ბილანოვის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. სტუდენტები სამკლოვიარო მარშს მდერიდენ. უნივერსიტეტში ხოლიცია შეიუვანეს და ზოგიერთი სტუდენტები დაიჭირეს. უნივერსიტეტის საბჭომ აკრძალა კრებები მთელი დღით. კრანინაჩალნიკმა სამ-სამი მანეთით, ან სამი დღის დაპატიმრებით დაჯარიმა 33 სტუდენტი. ზოგიერთი მათგანი, რომლებიც აგიტაციას ეწეოდენ და თავისი ვინობა არ განაცხადეს, ორი თვით დაპატიმეს.

ვარშავა. დაიჭრა 40 წევრი ებრაელთა სოციალისტური პარტიისა.

ტობოლსკი. იმამში ბოდაიბის სამმართველოში ინარდების ჩამოართმევის დროს ალეოქება მოხდა. მოკლულია სამი კაცი, მძეგეთ დაჭრილი 5, ხოლო სუბუქათ სამი.

ადესა. მოკლეს ბრობეის მაზრის პატრონი ტარტაკოვსკი, რომელმაც ანარქისტებს ფულის მიცემაზე უარი უთხრა.

უცხოეთი

პარიეი. გენერალმა დრიუდმა სამსახურიდან გადაყენა და 30 დღით დაატუსაღა ბოდიბოდკოვნიკი დაუფსიტე, რომელიც ეკანასკნელ მზეგრავ რაზმს წინამძღვრობდა.

ლვოვი. სამესტნიკმა განკარგულება მოახდინა რუსეთიდან მოსულები ეგეელანი გასინჯონ. ეს გამოწვეულია კიევში ხოლერის გაჩენით.

პარიეი. მარროკოელები, რომელნიც ფრანგების რაზმს დაესხენ კაზაბლანკის მახლობლათ მეალი-კეფიდან რაზმს ეკუთვნიან. იტყობებიან, რომ გეალი კეფიდი ეოგელ დონეს ხმარობდა, რომ შეტაკება არ მომხდარიეო. გენერალი დრიუდი ათი კიდობს მანძილზე სდევნა და დიდი ზარალიც მიაყენა მათ.

კელიფი. ათ საათზე საგრძნობლათ იძრა მიწა. საათები გაჩერდენ. შენობები და მიწაც დასკდა.

რედაქტორ-გამომცემელი
იოსებ ზ. გიორგობიანი

განცხადებანი

მატარებლის მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—თფილისისა)

თფილისიდან მიდის

ბაქოს: 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

ბათუმს: 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3 წ.)

ბორჯომს: 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.)

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 2) მამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.)

თფილისში მოდის

ბაქოდგან: 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.) 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.)

ბათუმიდან: 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.); 3) სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.)

ბორჯომიდან: 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.) 2) საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო, დილის 4 ს. (5 ს. 58 წ); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 5 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.)

კლინიკა

კბილის ავათმყოფობისა

ლ. ეტრეიხერისა

კბილის ხაექიმო სკოლასთან

ერევნის მოედანი, (პუშკინის ქ., 3).

ავათმსოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან

ფასი მკურნალობისა:

საექიმო რჩევა საზოგადოთ	20	კ.
ერთი კბილის ან ძირის ამოღება	20	„
კბილის გაწმენდა	50	„

არის უფრო ძვირიც:

პლომბა გუდაპერჩისა	50	„
„ „ ცემენტისა	1	მ.
„ „ მეტალიური	1	„
„ ვერცხლისა ამალგამა	1 „	50 „
„ „ ემალისა	1 „	50 „
„ „ ფაიფურისა	3 „	50 „

არის უფრო ძვირიც 5 მანეთამდე:

„ „ წმინდა ოქროსა . 3 „

უფრო ძვირიც.

ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე	1	კბილი:
„ „ დიოტორიტიული	1	„
„ „ კრამპონისა	1 50	„

ხელოვნ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კვეგებით:

„ „ თითო კავი 1 „